

მწვანე ბარათის პროგრამა
სშირად დასმული შეკითხვები

- როდის იწყება პროგრამაში რეგისტრაცია?
 - 2 ოქტომბერს, თბილისის დროით 20:00 საათზე
- რა ღირს?
 - უფასოა
- სად უნდა დავრეგისტრირდე?
 - www.dvlottery.state.gov ← მხოლოდ ამ ვებ-გვერდზე
- როდის მთავრდება რეგისტრაციის პერიოდი?
 - 5 ნოემბერს, თბილისის დროით 20:00 საათზე.
- შეიძლება, სხვამ შემივსოს?
 - გირჩევთ, რომ თავად შეავსოთ აპლიკაცია, რადგან სხვა პირებსა და ორგანიზაციებზე მიმართვისას დიდია თაღლითობის რისკი.
- როგორ გავიგებ თუ მოვიგე?
 - რეგისტრაციისას მოგენიჭებათ უნიკალური, დასტურის კოდი, რომელიც უნდა შეინახოთ.
 - 2020 წლის 5 მაისიდან იმავე ვებ-გვერდზე თავად უნდა გადაამოწმოთ სტატუსი დასტურის კოდის გამოყენებით: www.dvlottery.state.gov
- მოგების შემდეგ რას ვაკეთებ?
 - სტატუსის შემოწმებისას www.dvlottery.state.gov ვებ-გვერდზე გამოჩნდება დეტალური ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოთ.
- თუ შემარჩიეს, გრანსპორტირებასა და ამერიკაში განთავსებას მთავრობა უზრუნველყოფს?
 - არა. მწვანე ბარათის მოგება გაძლევთ საიმიგრაციო ვიზის მიღების შანსს, ანუ აშშ-ში ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას. დანარჩენზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.
- სად შეიძლება ვნახო დეტალური ინსტრუქცია?
 - ეწვიეთ გვერდს: <https://go.usa.gov/xVvmc>